ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №107-ს

„20" „ოქტომბერი" 2015 წ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად სსიპ ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვით. („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე) (კოდი **31223000** - ნათურის ბუდეები)

ერთის მხრივ სსიპ ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა (შემდგომში შემსყიდველი) მისი დირექტორის რევაზ ბეჟაშვილი სახით, მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. სართიჭალა ს/კ 226575024. საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ; სახაზინო კოდი TRESGE22 ა/ა # GE24NB0330100200165022 .ხოლო მეორეს მხრივ შპს. „EL-GROUP" (შემდგომში მიმწოდებელი) მისი დირექტორის ზაალ სებისკვერაძის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი სადარბაზო 2 სართული 1 ბინა 26. ს/კ 401957021. ტელ: 599462412. საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22; ა/ა GE38BG0000000895042600 ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს კედელში ჩასასმელი ნათურის ბიდეები (შემდგომში საქონელი) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. საქონლის ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 72 (სამოცდათორმეტი) ლარს.

2.2. კედელში ჩასასმელი ნათურის ბიდეები ((01101-SC-210 10W.LED DOWNLIGHT COLORCODE: 6000K) 4 ოთხი ცალი ერთეულის ღირებულება შეადგენს 18 თვრამეტი ლარს. სულ 72 (სამოცდათორმეტი) ლარი.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით.

3.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ.

3.3. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

3.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 3.3. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელს ახალი უნაკლო საქონლის მიწოდებამდე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მაღაზიიდან მისამართი: ქ. თბილისი, ლილოს ბაზრობა სექტორიC რიგი C1 მაღაზია #207

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

5.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვად(ებ)ის (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე) გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის (მათ შორის: არაჯეროვნად შესრულებისათვის) დარღვევის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

7.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი პირგასამტეხლოს გარდა დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

7.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

7.4.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.4.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 7.4.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს;

7.4.3. ხელშეკრულების 9.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

7.5. პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.6. მიმწოდებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიმწოდებელი ვალდებულია ვადაგადაცილებული დღეებისათვის და ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასზედ დაკისრებული პირგასამტეხლო(ები)ს გარდა გადაუხადოს შემსყიდველს ხელშეკრულების შეწყვეტისათვის პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20 (ოცი) პროცენტის ოდენობით.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

10.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

10.3.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.3.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი: სსიპ ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობის ადმინისტაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი რამაზ ასათიანი (შემდგომში „კონტროლის განმახორციელებელი პირი“).

11.2. კონტროლის განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

11.2.1. გაუწიოს კონტროლი საქონლის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

11.2.2. დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების მოთხოვნებს.

11.2.3. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

11.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

11.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

12.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

13.3. პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

14.2. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

15. განსაკუთრებული პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე, ქართულ ენაზე, 2 თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
სსიპ „ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა“	შპს. „EL-GROUP”
---	---
რევაზ ბეჟამვილი	ზაალ სებისკვერაძე
დირექტორი	დირექტორი